ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5434832

ნომერი: AR1829885

თარიღი : 04.06.2021

გაცემის თარიღი : 04.06.2021

გაცნობის თარიღი : 04.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ამაღლების III ჩიხი, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკა კემულარია პ/ნ 62005000668
- ოჩამჩირე ფ.ენგელსის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუჯნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 04 ივნისის AR1829885 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ამაღლების III ჩიხი N2-ში შლაგბაუმის მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წამროდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : დამატებით წარმოდგენილი იქნეს არსებული ფოტოები შორი ხედიდან და ქუჩიდან, ტერიტორიის საპროექტო ჩვენებით

2. არ არის წარმოდგენილი გენგეგმა საკადასტრო საზღვრების და შლაგბაუმის მდებარეობის მონიშვნით;

3. აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის შემოღობვა ან/და მიწის ნაკვეთის შესასვლელებთან ბარიერების მოწყობა (გარდა სახანძრო უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებით დაშვებულისა). აქედან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის შესასვლელებთან ბარიერების მოწყობის შემთხვევაში, საჭიროა წარმოადგენილი იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი წერილი, რომელშიც მითითებული იქნება განსახორციელებელი სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების სახანძრო უსაფრთხოების მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან დასაშვებობის/შესაბამისობის თაობაზე. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილზე თანდართული დანართები;

4. იმ შემთხვევაში, თუ შლაგბაუმის მოწყობა ხდება მიწის ნაკვეთის საზღვრებში, წარმოდგენილ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი წევრთა 2/3-ის ნახევარზე მეტის თანხმობით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შლაგბაუმი ეწყობა საზოგადოებრივ სივრცეში - წამოდგენილი იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.